



საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ენერგეტიკაში: ელექტროენერჯისა და გაზის ტარიფები

თბილისი, 2008 წლის 26 მარტი

მოკლე მიმოხილვა

საქართველოში ელექტროენერჯისა და ბუნებრივ აირზე ყველაზე მაღალი ტარიფებია რეგიონში და მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამის ერთ-ერთი მიზეზი, სავარაუდოდ, იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნის ბუნებრივი გაზით მომარაგება მთლიანად იმპორტირებულ გაზზეა დამოკიდებული, თუმცა განსხვავებული მდგომარეობა ელექტროენერჯისთან მიმართებაში – ელექტროენერჯით მომარაგების 70-75% შიდა ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამოძევაზე ენერჯიაზე მოდის.

ამ ანგარიშზე მუშაობის პროცესში ვერ დადგინდებოდა, თუ რამდენად სწორად დაანგარიშებული და სამართლიანია საქართველოში დღეს არსებული ენერგოტარიფები, თუმცა მოპოვებული მასალების საფუძველზე აშკარად იკვეთება, რომ ენერგომარეგულირებელი კომისია, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი კომპეტენცია ტარიფების დადგენაა, მნიშვნელოვან ზეწოლას განიცდის სახელისუფლებო წრეებისგან. საქართველოს მთავრობა ცდილობს, საკუთარი კონტროლის ქვეშ მოაქციოს ენერგეტიკული სექტორის¹ როგორც სახელმწიფო (რომელიც ისედაც მისი კონტროლის ქვეშაა), ისე კერძო სექტორი.

ენერგომარეგულირებელი კომისიის როლი და კომპეტენცია განსაზღვრულია „საქართველოს კანონით ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის შესახებ“ (მიღებულია 1997 წელს), „საქართველოს კანონით დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებლის შესახებ“ (მიღებულია 2002 წლის 15 ოქტომბერს) და პარლამენტის 2006 წლის ივნისის დადგენილებით „სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ შესახებ.

2006 წლის იანვარში „ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის შესახებ“ კანონში შევიდა რამდენიმე ცვლილება, რომლითაც კომისიის კომპეტენცია შეიზღუდა და გაიზარდა ენერგეტიკის სამინისტროს კომპეტენცია. კერძოდ, წლიური ენერგეტიკული ბალანსის დადგენა და ბაზრის წესების შემუშავება, რაც მანამდე სემეკის ფუნქცია იყო, ენერგეტიკის სამინისტროს უფლებამოსილებაში გადავიდა.

¹ “მსოფლიო ბანკის” პროექტი: რეკომენდაციები საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებისათვის საკანონმდებლო ბაზის შესახებ. პროექტი განახორციელა Econ One Corporation-მა, გვ. 12.





უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობა უშუალოდ ერევა სემეკის კომპეტენციაში დამოუკიდებლად დაადგინოს ელექტროენერჯის და გაზის ტარიფები. „ენერგო-პრო-ჯორჯიასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში და „რაო-თელასთან“ გაფორმებულ მემორანდუმში მთავრობამ აიღო ვალდებულება, სემეკისთვის მიეღებინა გარკვეული გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებული იყო ტარიფების დადგენასთან, მათ ინდექსაციასთან და საერთო მრიცხველების მოხმარებასთან. შედეგად, დღეს მოქმედი ტარიფები დადგენილია არა მარეგულირებელი კომისიის მიერ შემუშავებული, დანახარჯებზე აგებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, არამედ მთავრობასა და კერძო კომპანიებს შორის გაფორმებული გარიგებების შესაბამისად. ამ გარიგების ძირითადი არსი კი ის უნდა იყოს, რომ ენერგოკომპანიებმა ქვეყნის ელექტროენერჯითა და გაზით უწყვეტი მომარაგება უზრუნველყონ და სანაცვლოდ მიიღონ მაღალი ტარიფები, რომლებსაც მათ რეალურ ხარჯებთან კავშირი ნაკლებად აქვთ.

თუ მთავრობა სემეკის უფლებამოსილების შეზღუდვას ან მის საერთოდ გაუქმებას აპირებს, აუცილებელია გაირკვეს, თუ რა მექანიზმებით მოხდება ენერგეტიკული სექტორის ეკონომიკური მდგრადობისა და მომხმარებლის მონოპოლური ფასებისგან დაცვის უზრუნველყოფა, ვინაიდან ეს ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია დღეს სემეკს ეკისრება.

დამოუკიდებელი მარეგულირებლის ფუნქციები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს მთავრობამ, ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შექმნა, ელექტროენერჯეტიკის სექტორის რეგულირების მიზნით, 1996-1997 წლებში გადაწყვიტა. რიგ განვითარებულ ქვეყნებში დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების საქმიანობამ დადებითი გავლენა იქონია როგორც მომხმარებლების ინტერესების დაცვაზე, ისე ენერგეტიკის სექტორის გრძელვადიან განვითარებაზე, ამდენად საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ენერგომარეგულირებლის შექმნის შესახებ „საუკეთესო პრაქტიკის“ საფუძველზე მიღებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებად იყო აღქმული.

საქართველოს ენერგეტიკისა და გაზის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ელექტროენერჯეტიკის და გაზის სფეროს რეგულირება დაევალა. ის შეიქმნა როგორც დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც არ იყო დაფუძნებული სახელმწიფო ქონების ბაზაზე და რომელსაც უნდა ემოქმედა შესაბამისი კანონის და დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. კომისიას ფინანსური დამოუკიდებლობაც მიენიჭა. მისი დაფინანსების წყაროდ განისაზღვრა რეგულირების საფასურიდან და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები.

პარლამენტმა კანონი დამოუკიდებელი მარეგულირებლის შესახებ 2002 წლის 15 ოქტომბერს მიიღო. ამ კანონის თანახმად:

- დაუშვებელია დამოუკიდებელი მარეგულირებლის საქმიანობაში ჩარევა, ამ საქმიანობის კონტროლი და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ პრეზიდენტის და პარლამენტის წინაშე;





- კომისია უფლებამოსილია, დამოუკიდებლად დაადგინოს და დაარეგულიროს ტარიფები ელექტროენერჯისა და გაზის სფეროში (დაუშვებელია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს სატარიფო პოლიტიკაში ჩარევა ანდა მის უფლებამოსილებაზე კონტროლი²;
- კომისია ვალდებულია იხელმძღვანელოს ენერგეტიკის, უსაფრთხოების და ბუნების დაცვის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით და მათ საფუძველზე მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით³;
- კომისიის საქმიანობის საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონი ელექტროენერჯეტიკისა და გაზის შესახებ, კომისიის დებულება და სხვა საკანონმდებლო აქტები⁴.

კანონში აღნიშნულია, რომ ელექტროენერჯეტიკისა და გაზის კომისია ტარიფებს ადგენს მის მიერვე შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. დღეს მოქმედი მეთოდოლოგიით ტარიფი უნდა ასახავდეს ლიცენზიანტის, იმპორტიორის ან მომწოდებლის მიერ გაწეულ დანახარჯებს, რაც უნდა მოიცავდეს (ა) შეძენილი საწვავის ეკონომიკურად გამართლებულ ღირებულებას, (ბ) საექსპლუატაციო დანახარჯებს, (გ) მიმდინარე და კაპიტალური რემონტის დანახარჯებს, (დ) საბრუნავი კაპიტალის სახით აღებული სესხების ძირითად ნაწილს და (ე) პროცენტებს. ის უნდა ითვალისწინებდეს კაპიტალდაბანდებად ამონაგების კეთილგონივრულ და სამართლიან დონესაც, რაც საკმარისი უნდა იყოს დარგის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით ინვესტიციების მოზიდვისთვის⁵. ტარიფების დადგენის დროს კომისიამ მომხმარებლების მონოპოლური ფასებისგან დაცვაზეც უნდა იზრუნოს.

მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში – „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ენერგეტიკაში“ ხაზგასმულია, რომ ენერგომარეგულირებელი კომისია დამოუკიდებელი უნდა იყოს ხელისუფლების გავლენისგან, 2006 წლის 1 იანვარს კანონში „ელექტროენერჯეტიკისა და გაზის შესახებ“ შევიდა ცვლილებები, რომლებიც შეიცავდნენ აშკარა ნიშნებს მარეგულირებლის უფლებამოსილების შეზღუდვის მიმართულებით. ეს დასკვნა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით „Econ One Corporation“-ის მიერ განხორციელებული პროექტის (რეკომენდაციები საქართველოს ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებისათვის საკანონმდებლო ბაზის შესახებ) ექსპერტებმან გააკეთეს. კერძოდ, მათ აღნიშნეს, რომ ბუნდოვანი გაზდა სემეკსა და სამინისტროს შორის უფლებასომილების გადანაწილება – ახალი რედაქციით ელექტროენერჯის (სიმძლავრის) და ბუნებრივი გაზის ბალანსების და ელექტროენერჯისა და გაზის სექტორების საბაზრო წესების დადგენის უფლებამოსილება ენერგეტიკის სამინისტროს გადაეცა, რამაც

² საქართველოს კანონი “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ”, 2002 წლის 15 ოქტომბერი.

³ საქართველოს კანონი „ელექტროენერჯეტიკისა და გაზის შესახებ“, 1997 წელი.

⁴ საქართველოს კანონი ელექტროენერჯეტიკისა და გაზის შესახებ, 1997, მუხლი 4, სტატუსი და ფუნქციები.

⁵ საქართველოს კანონი ელექტროენერჯეტიკისა და გაზის შესახებ, 1997, მუხლი 43, ტარიფის დადგენის პრინციპები.

⁶ ანგარიში გამოქვეყნდა 2006 წლის 28 თებერვალს.





ენერჯეტიკის სამინისტროს როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოს და სემეკის, როგორც სექტორის მარეგულირებელი ორგანოს გამიჯვნა გაართულა.

„Econ One Corporation“-ის ექსპერტებმა აღნიშნეს ისიც, რომ სემეკი ვერ ახერხებს სრულად გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება იმ პოლიტიკური გავლენების გამო, რომლებსაც ის ხელისუფლებისგან განიცდის. ამ მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებების გზით. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა არსებობდეს პოლიტიკური ნება, რომ სემეკს მიეცეს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების საშუალება კანონით მისთვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

ექსპერტებმა კომენტარები ენერჯეტიკული ობიექტების პრივატიზაციის პოლიტიკასთან დაკავშირებითაც გააკეთეს. მათი განმარტებით, „მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ კანონიერი პოტენციური ინვესტორები ახალ ან უკვე არსებულ ენერჯეტიკულ ობიექტებში ინვესტიციების ჩადების წინაპირობად აუცილებლად მოითხოვენ გამჭვირვალე საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფას. ასეთი გამჭვირვალე საკანონმდებლო ბაზის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ცალსახად დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ფუნქციონირებს კანონის მიხედვით და რომლის ქმედებები პროგნოზირებადია. სტრატეგიის განსაზღვრისა და რეგულირების ფუნქციების განცალკევების პროცესი უფრო უნდა გააქტიურდეს თუ პრივატიზაცია მთავრობის პოლიტიკის ნაწილია“.

Econ One Corporation-ის ექსპერტებმა მთავრობას სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაციის საკითხის გადახედვაც ურჩიეს. მათ გამოთქვეს ვარაუდი, რომ მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულირების პრინციპების პირობებში საქართველოს მთავრობას ენერგოკომპანიების პრივატიზაციის პროცესში სერიოზული ინვესტორების მოზიდვა გაუჭირდებოდა. „უკეთეს შემთხვევაში მოლაპარაკებები დასრულდება „გვერდითი გარიგებებით“, დაახლოებით ისე, როგორც ეს მოხდა AES-ის შემთხვევაში თელასის შეძენის დროს. აღნიშნული გარიგება დღესაც ხელს უშლის საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სექტორის გამჭვირვალე რეგულირებას და ფუნქციონირებას“⁷.

ასეთი იყო საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციები 2006 წლის თებერვალში. ფაქტობრივი მასალა იმის შესახებ, თუ რამდენად აისახა ეს რეკომენდაციები სახელმწიფო ენერჯეტიკულ პოლიტიკაში და რა როლს ასრულებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი დღევანდელ დღეს განხილულია შემდეგ ქვეთავებში.

სემეკის დებიუტი ელექტროენერჯის ტარიფის დადგენაში AES-ის მიერ თელასის შესყიდვის დროს⁸

⁷ მსოფლიო ბანკის პროექტი: რეკომენდაციები საქართველოს ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებისათვის საკანონმდებლო ბაზის შესახებ. პროექტი განახორციელა Econ One Corporation-მა, გვ. 22.

⁸ ინტერვიუ ელიზბარ ერისთავთან, სემეკის თავმჯდომარე 1997-2003 წლებში. ინტერვიუ ჩატარდა 2008 წლის 7 თებერვალს.





1996-1997 წლებში, როცა მარეგულირებელი კომისია შეიქმნა, მისი თავმჯდომარე პარალელურად სპარიატიზაციო კომისიის წევრიც იყო⁹. პირველი პრიატიზაცია, რომელშიც სემეკის თავმჯდომარე მონაწილეობდა, AES-ის მიერ თელასის შესყიდვა იყო (ეს პრიატიზაცია 1998 წელს განხორციელდა).

სემეკის მაშინდელი თავმჯდომარის ელიზბარ ერისთავის განმარტებით, AES თავდაპირველად ძალზე მაღალ ტარიფებს მოითხოვდა (დაახლოებით 17 თეთრამდე კილოვატ/საათ ელექტროენერგიაზე თბილისში). სემეკმა ისარგებლა კანონით დადგენილი უფლებით და AES-ის სატარიფო განაცხადის სამართლიანობის გადასამოწმებლად ერთი საერთაშორისო დონეზე აღიარებული, დამოუკიდებელი საერთაშორისო აუდიტი (Deloitte & Touche), ერთი დამოუკიდებელი ქართული სააუდიტორო კომპანია და ორი ბუღალტერი დაიქირავა. მათ მიერ AES-ის საინვესტიციო და სხვა დანახარჯების გადამოწმების შემდეგ სემეკმა AES-ს ტარიფი კილოვატ/საათ ელექტროენერგიაზე 8 თეთრით განუსაზღვრა, რაც იმდროინდელი გაცვლითი კურსით დაახლოებით 3 ცენტი იყო.

მთავრობის ჩარევა დამოუკიდებელი მარეგულირებლის ფუნქციებში – Rao-თელასი და Rao-UES-თან 2007 წლის 1 ივნისს გაფორმებული მემორანდუმი

Rao-UES-თან 2007 წლის 1 ივნისს გაფორმებული მემორანდუმი სემეკის ფუნქციებში მთავრობის ჩარევის აშკარა მაგალითია. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მემორანდუმი იურიდიულად სრულიად განსხვავებული კომპეტენციებისა და ასევე განსხვავებული პოლიტიკური იერარქიების პირებს – საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელსა და Inter-Rao-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. რაპაპორტს შორის დაიდო, რაც თავისთავად არამართლზომიერია.

მემორანდუმის მიხედვით, საქართველოს მთავრობამ Inter-Rao-ს წინაშე აიღო ვალდებულება, (ა) სემეკისთვისთვის 2007 წლის 1 სექტემბრამდე მიეღებინებინა გადაწყვეტილება ელექტროენერგიაზე თბილისში არსებული ტარიფების ხანგრძლივი პერიოდით, 2015 წლამდე დადგენის თაობაზე¹⁰ და ასევე, (ბ) თბილისში კომპაქტურად მაცხოვრებელი ლტოლვილებისთვის ელექტროენერგიის საერთო (სართულზე ერთი) მრიცხველების დაშვების შესახებ.¹¹ მხარეები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციის წლიური მაჩვენებელი ერთნიშნა მაჩვენებელს გადააჭარბებდა, ან თუ ლარის გაცვლითი კურსი დოლარის მიმართ 10%-ით და მეტით შეიცვლებოდა, სემეკი Rao-Telasi-ის სადისტრიბუციო ტარიფს გადახედავდა¹². ამ საკითხების დარეგულირება, წესით, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი კომისიის კომპეტენცია უნდა ყოფილიყო.

⁹ მისი მოსაზრება ენერგეტიკული ობიექტების პრიატიზაციასთან დაკავშირებით სავალდებულოდ გასათვალისწინებელი იყო.

¹⁰ მემორანდუმი საქართველოს ხელისუფლებასა და Inter-Rao-ს გენერალურ დირექტორს შორის, მუხლი 1.5. 2007 წლის 20 ივნისი.

¹¹ მემორანდუმი საქართველოს ხელისუფლებასა და Inter-Rao-ს გენერალურ დირექტორს შორის, მუხლი 4, 2007 წლის 20 ივნისი.

¹² მემორანდუმი საქართველოს ხელისუფლებასა და Inter-Rao-ს გენერალურ დირექტორს შორის, მუხლი 1.4. 2007 წლის 20 ივნისი.





სააქციო საზოგადოება „თელასმა“, თავის მხრივ, აიღო ვალდებულება, სემეკის მიერ არსებული ტარიფის 2015 წლამდე დამტკიცების შემდეგ აღარ მოეთხოვა ტარიფის გაზრდა ან კორექტირება (გარდა განსაზღვრული შემთხვევებისა). გარდა ამისა, „თელასმა“ დადო პირობა, რომ აღარ დააყენებდა წარსულში ისეთ სადავო საკითხებს, როგორებიც იყო: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ტარიფის შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად განცდილი ზარალის კომპენსაცია და Silk Road Holding BV-ს მიმართ არსებული დავალიანების ამოღება¹³.

Silk Road Holding BV-ს მიმართ არსებული დავალიანების საკითხის წამოწევა ამ მემორანდუმში კვლავ აყენებს Rao-Nordic-ის მიერ AES-ისგან თელასის ყიდვის საკითხს. AES Corporation-მა თელასის აქციათა 75% 1998 წელს 23 მილიონ აშშ დოლარად შეისყიდა. ეს ამერიკული კომპანია საქართველოს გარდა აქტივებს უკრაინის, ყაზახეთის და ყირგიზეთის ენერგეტიკის სექტორებში ფლობდა. ხუთი წლის განმავლობაში “თელასში” AES Corporation-მა 400 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. ამაში შედიოდა EBRD-ის მიერ გაცემული 56 მილიონი აშშ დოლარი. დანარჩენი თანხები კომპანიამ სათავო ოფისიდან მოიზიდა. 2002 წლისათვის “თელასში” გამრიცხველიანება დასრულებული იყო, მოხმარებული ელექტროენერჯის ამოღების მაჩვენებელი 86%-მდე იყო ასული და წლიური შემოსავლების მიხედვით კომპანია სახელმწიფო ბიუჯეტის შემდეგ მეორე ადგილზე იდგა¹⁴.

ბევრი ექსპერტი, მათ შორის საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომისიის ენერგეტიკული ექსპერტები მიიჩნევენ, რომ AES-თელასი შეგნებულად ბერავდა დანახარჯებს, რომ შეუძლებელი იყო თბილისის 400 000 აბონენტის გამრიცხველიანება ასეთი დიდი თანხა დამჯდარიყო. 2002 წლიდან AES Corporation-მა დიდი ზარალი განიცადა კალიფორნიასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც მნიშვნელოვან აქტივებს ფლობდა. ამავე დროს მას პრობლემები შეექმნა საქართველოშიც. იგი სერიოზული პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა იმ პოლიტიკური ვჯუფების მხრიდან, რომლებიც რუსულ სახელმწიფო კომპანია Rao-UES- ლობირებდნენ.

2003 წელს AES Corporation-მა AES –თელასის ვალები სათავო ოფისის მიმართ 210 მილიონი აშშ დოლარი ჩამოწერა და ვალებისგან გასუფთავებული თელასი¹⁵, მტკვარი ენერგეტიკა და ზრამი 1 და ზრამი 2 ის 25-წლიანი მართვის უფლება 23 მილიონ აშშ დოლარად მიჰყიდა. Rao-Telas-მა AES-თელასის მიმართ დადგენილი ტარიფით განაგრძო საქმიანობა, რაც იმ დროს უკვე 0,127 ლარს, ანუ იმ დროის კურსით დაახლოებით 0,53 აშშ დოლარს უდრიდა.

¹³ მემორანდუმი საქართველოს ხელისუფლებასა და Inter-Rao-ს გენერალურ დირექტორს შორის, მუხლი 1.6. 2007 წლის 20 ივნისი.

¹⁴ მსოფლიო ბანკის დაკვეთით განხორციელებული კვლევა “Revisiting Reforms-Lesons frm Georgia”. კვლევა გამოქვეყნდა 2004 წლის 14 სექტემბერს. ის ადასტურებს AES Telas-ის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის 86%-ის ამოღების ფაქტს.

¹⁵ EBRD-ის 56 მილიონი აშშ დოლარის დავალიანება შ-თელას-ს 2002 წელს უკვე გასტუმრებული ჰქონდა.





მომხმარებელთა უფლებების დამცველი ენერგეტიკაში დავით ებრალიძე, რომელმაც თელასის Rao-Nordic-ისათვის მიყიდვის საკითხი შეისწავლა, განმარტავდა, რომ AES-Corporation-მა 210 მილიონი აშშ დოლარის დავალიანება თელასს 2003 წელს ჩამოაწერა¹⁶. შესაბამისად, Rao-Telas-ს არანაირი უფლება არ ჰქონდა, მისი წინამორბედისათვის დადგენილი ტარიფით ესარგებლა, მით უმეტეს, რომ მას შემოსვლისთანავე არანაირი ინვესტიციები არ განუხორციელებია. 2003 წლის შემოდგომაზე და 2004 წლის ზაფხულში საქართველოში ვიზიტად მყოფი Rao-UES-ის გენერალური დირექტორი ანატოლი ჩუბაისიცი გამოხატავდა მზადყოფნას, რომ თელასის ტარიფი შემცირების მიმართულებით გადაეხედა, თუმცა 2005 წლიდან ტარიფის შემცირებაზე ყოველგვარი საუბარი შეწყდა.

დავით ებრალიძის მიერ ჩატარებული გამოკვლევის ნამდვილობის დასადაგენად საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და გაზის ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ გ. თავაძემ წერილობით მიმართა Silk Road Holding BV-ის, (რომლის საშუალებითაც AES-Corporation-ი ფლობდა თელასის აქციებს) დირექტორს ა. ფედოტოვს. პასუხად ფედოტოვმა მას მისწერა, რომ როდესაც Rao-Nordic-მა AES-Corporation-ისგან Silk Road Holding BV და მასთან ერთად თელასი იყიდა, მან მიყიდვისგან მიიღო ჩადებული ინვესტიციების მოთხოვნის უფლება¹⁷.

ფედოტოვის პასუხი სემეკის თავმჯდომარის გ. თავაძის წერილზე სრულიად დამაჯერებელი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება – არც AES-ის მიერ თელასის ნასყიდობის ხელშეკრულება და არც Rao-Nordic-ის მიერ Silk Road Holding BV და მასთან ერთად თელასის ყიდვის ხელშეკრულება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. Rao-Nordic-ის მიერ Silk Road Holding BV და მასთან ერთად თელასის ყიდვის ხელშეკრულება სემეკშიც კი არ უნახავთ¹⁸.

ვიდრე ეს ხელშეკრულებები და განსაკუთრებით ბოლო ხელშეკრულება ექსპერტებისა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ გახდება, მუდმივად იქნება გარკვეული ეჭვები Rao-Telas-ის მიერ არსებული ტარიფების გამოყენების სისწორისა და მართებულობის გარშემო.

მსოფლიო ბანკის ექსპერტები, რომლებსაც ქართველი ექსპერტებისგან განსხვავებით ამ ხელშეკრულებებზე ხელი მიუწვდებოდათ, თავიანთ რეკომენდაციებში საქართველოს ხელისუფლებისათვის (რეკომენდაციები გამოქვეყნდა 2006 წლის თებერვალში) აღნიშნავენ, რომ “გარიგება (იგულისხმება AES-თელასი და Rao Nordic) დღესაც ხელს უშლის საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის გამჭვირვალე რეგულირებას და ფუნქციონირებას“¹⁹.

¹⁶ AES Corporation Annual Report 2003.

¹⁷ ა.ი. ფედოტოვის პასუხი (01/001-2005, 21.01.2005) სემეკის თავმჯდომარის გ. თავაძის წერილზე.

¹⁸ ეს ხელშეკრულება თბილისის მერიას უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ის არის თელასის 25% წილის მფლობელი.

¹⁹ მსოფლიო ბანკის პროექტი: რეკომენდაციები საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებისათვის საკანონმდებლო ბაზის შესახებ. პროექტი განხორციელდა con One Corporation-მა, გვ. 22.





ტარიფის ზრდა და საფეხურიანი ტარიფის შემოღება 2006 წლის მაისი²⁰

“თელასმა” სამომხმარებლო ტარიფში თავისი წილის გაზრდა პირველად 2004 წლის მაისში მოითხოვა, თუმცა ის მაშინვე თანახმა იყო, რომ ტარიფი 2006 წლის ბოლოდან გაზრდილიყო. “თელასი” ამ მოთხოვნას დამძიმებული საგასახადო რეჟიმით და გაწეული დანახარჯების ამოღების აუცილებლობით ასაბუთებდა. განაცხადს თან ერთვის დამოუკიდებელი აუდოტორული კომპანიის – “იუ-ბი-სი“-ს დასკვნა.

სემეკმა ტარიფის გაზრდას მხარი არ დაუჭირა²¹. ის მიიჩნევდა, რომ ეს მოსახლეობის სოციალურ ფონს კიდევ უფრო დაამძიმებდა. “თელასის” განაცხადის შესწავლის შემდეგ კომისია ტარიფში თელასის წილის 0.3 თეთრით შემცირებასაც კი აპირებდა, თუმცა საბოლოო ფაშში ტარიფი არც შემცირებულა და არც გაზრდილა. სემეკმა თელასს წილის გაზრდაზე უარი განაცხადში საკმარისი დასაბუთების არქონის გამო უთხრა²².

2006 წლის იანვარში რუსეთიდან საქართველოში შემომავალ გაზის სადენებზე მომხდარი აფეთქებების გამო რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები უკიდურესად დაიძაბა. ამ ურთიერთობის ფონზე რუსეთმა საქართველოს გაზის საფასურად 110 აშშ დოლარის ნაცვლად 235 აშშ დოლარი მოითხოვა. ბუნებრივია, ფასის ამგვარი ზრდა ელექტროენერჯის და გაზის სამომხმარებლო ტარიფზეც აისახებოდა.

რუსული გაზის ფასის გაზრდა დაედო საფუძვლად 2006 წლის 15 მაისის დადგენილებას²³, რომლის ძალითაც სამომხმარებლო ტარიფი კოლოვატ/საათ ელექტროენერჯიაზე 11.424 თეთრით (დღგ-ს გარეშე) განისაზღვრა. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნისა და ელექტროენერჯის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით როგორც თბილისში, ისე რეგიონებში შემოღებული იქნა არაგამჭოლი²⁴, საფეხურიანი ტარიფი 100კვტ/სთ-ის ჩათვლით, 101 კვ/სთ-დან 300კვ/სთ-ის ჩათვლით და 301კვ/სთ-დან ზევით ელექტროენერჯის მოხმარებისათვის.

ვინაიდან, ოფიციალური ვერსიით, საქართველოში ელექტროენერჯის ტარიფის ზრდა რუსულ გაზზე ფასის 235 აშშ დოლარამდე გაზრდის გამო მოხდა, სემეკმა 15 მაისის

²⁰ სემეკის დადგენილება 18 2006 წლის 15 მაისი.

²¹ თელასი თავისი წილის გაზრდას ტარიფში 7,207 თეთრიდან 11.14 თეთრამდე მოითხოვდა, რაც ტარიფს საბოლოოდ 4 თეთრით გაზრდიდა.

²² მომხმარებელთა უფლებების დამცველის დავით ებრალიძის წერილი, გაზეთი “24 საათი”, 2005 წლის ზაფხული.

²³ ამ დადგენილებით სემეკმა დაადგინა აგრეთვე ელექტროენერჯის წარმოების გადაცემის და დისპეჩერიზაციის ტარიფები.

²⁴ არაგამჭოლი ტარიფი ნიშნავს, რომ მომხმარებელი შემდგომი საფეხურის ტარიფს ყოველ ზედმეტი კოლოვატ/საათი ელექტროენერჯის მოხმარებაზე კი არ იხდის, არამედ მთლიანად მოხმარებულ ელექტროენერჯიაზე. მაგალითად, თუ მომხმარებელმა 30 კალენდარულ დღეში 103 კვ/სთ ელექტროენერჯია მოიხმარა, იგი 103 კვ/სთ-ში იხდის მთლიანად მეორე საფეხურის ტარიფს.





დადგენილებით თბოელექტროსადგურებში ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული ტარიფები შემდეგნაირად დაადგინა²⁵:

- „მტკვარი ენერჯეტიკა“(Inter-Rao-ს მეცხრე ბლოკი) – 9.11 თეთრი კვტ/სთ;
- „თბილსრესი“ (სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული მესამე, მეოთხე და მერვე ბლოკები) – 9.801 თეთრი კვტ/სთ;
- „ენერჯი-ინვესტის აირტურბინა“ -13.086 თეთრი კვტ/სთ.

2007 წლის 9 ნოემბერს მთავრობამ მიიღო განკარგულება №657, რომელიც „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ ავალდებულებდა, მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, უზრუნველყო ბუნებრივი აირის რეალიზაცია სულ ცოტა 143 აშშ დოლარის ექვივალენტით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (დღგ-ს გარეშე) ყოველ 1000 კუბურ მეტრზე, ასევე შპს „მტკვარი-ენერჯეტიკისათვის“, სს „ენერჯი-ინვესტისა“ და სს „თბილსრესისათვის“ – სულ ცოტა 25 აშშ დოლარის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში (დღგ-ს გარეშე) ყოველ 1000 კუბურ მეტრზე სახელმწიფოს კუთვნილი წილის მომყოლ (თანმდევე) ბუნებრივ აირზე²⁶.

ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს მთავრობის მხრიდან უხეშ ჩარევას სემეკის კომპეტენციაში (არსებული კანონმდებლობით, სემეკი დამოუკიდებლად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე უნდა ადგენდეს ტარიფებს). თუ მთავრობამ 9 ნოემბრის დადგენილება ფასების სტაბილიზაციის მიზნით მიიღო, უნდა შემცირებულიყო უფრო იაფი აზერბაიჯანული გაზით წარმოებული ელექტროენერჯის ტარიფი. რეალურად ეს ტარიფი არათუ შემცირდა, არამედ ზამთრის თვეებში „ენერჯი-ინვესტის“ აირტურბინის მიერ წარმოებული ელექტროენერჯია, ნაცვლად სემეკის მიერ დადგენილი ზედა ზღვრული 13.086 თეთრისა, 14 თეთრადაც კი იყიდებოდა.

ფაქტურა, რომ სემეკის მიერ 2006 წლის 15 მაისს მიღებული დადგენილება ვერ ასახავს დღეს არსებულ ვითარებას. ტარიფის შეცვლის მიმართულებით სემეკს ახალი დადგენილება ჯერ არ მიუღია. საფეხურიანი, არაგამჭოლი ტარიფი ვერ ჩაითვლება მართებულად, ვინაიდან ის არ შეესაბამება მწარმოებელი კომპანიის, ამ შემთხვევაში „თელასის“ და მის კუთვნილებაში მყოფი „მტკვარი ენერჯეტიკის“ მიერ გაწეულ დანახარჯებს. გარდა ამისა, არაგამჭოლი ხასიათის გამო ტარიფი ვერც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინტერესების დაცვას ემსახურება.

მთავრობის ჩარევა სემეკის ფუნქციებში – ენერგო-პრო-ჯორჯია

არსებობს მოსაზრება, რომ “ენერგო-პრო-ჯორჯიას” საქართველოს ბაზარზე შემოყვანის განზრახვა ჯერ კიდევ 2006 წლის გაზაფხულზე არსებობდა და სემეკის 2006 წლის 15 მაისის დადგენილებას ელექტროენერჯის ტარიფის გაზრდისა და საფეხურიანი ტარიფის

²⁵ 2006 წლის გაზაფხულზე ჯერ არ იყო ცნობილი, რომ საქართველოს მთავრობა მოახერხებდა აზერბაიჯანიდან გარკვეული რაოდენობის გაზის მიღებას (1000 კუბურ მეტრს 120 აშშ დოლარად). ამიტომ, ბუნებრივია, სემეკი ამ საკითხს 2006 წლის გაზაფხულზე თავის გათვლებში ვერ გაითვალისწინებდა.

²⁶ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 9 ნოემბრის განკარგულება. 657





შემოღების შესახებ საფუძვლად სწორედ ეს გარემოება დაედო (რათა “ენერგო-პრო-ჯორჯიას” შემდგომში საქმე გაადვილებოდა).

ეს დადგენილება აწესებს არა მარტო თბოგენერაციის, არამედ ჰიდროგენერაციის, რეგიონებში დისტრიბუციის, გადაცემისა და დისპენჩერიზაციის ტარიფებს სინშირების და მოხმარების საფეხურების მიხედვით. 2005-2006 წლებში რეგიონების სადისტრიბუციო კომპანიებში საერთო მოხმარების მრიცხველების დამონტაჟება და მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების და გენერაციის ობიექტების რეაბილიტაცია საქართველოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით მოხდა. დახარჯული სახსრები სემეკის 2006 წლის 15 მაისს მიღებული დადგენილებით ტარიფში აისახა.

2007 წლის თებერვალში სახელმწიფო სახსრებით ნაწილობრივ აღდგენილი გენერაციის (ლაჯანური), მაღალი, საშუალო და დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები (110, 35-10, და 6-0.4 კვ.) და საერთო მრიცხველებით აღჭურვილი რეგიონული დისტრიბუციის სისტემა (კახეთის და თბილისის დისტრიბუციის გარდა) დადგენილი საფეხურიანი ტარიფებით (რომლებიც არა “ენერგო-პრო-ჯორჯიას”, არამედ სახელმწიფოს მიერ გაწეულ დანახარჯებს ასახავდა) “ენერგო-პრო-ჯორჯიას” ხელშეკრულებით გადაეცა. კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამ დროისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი საერთო მოხმარების მრიცხველებით 90%-ს შეადგენდა.

მთავრობამ ხელშეკრულებით თავის თავზე აიღო ვადლებულება, სემეკისთვის მიეღებინებინა გადაწყვეტილებები (ა) კომპანიისთვის რეგიონის მოსახლეობის ინდივიდუალურ გამრცხველიანებაზე გადაყვანის ათწლიანი პერიოდის დადგენის შესახებ²⁷ და (ბ) ტარიფის ინდექსაციის მექანიზმის განხორციელების თაობაზე დადგენილების მიღების შესახებ²⁸. ეს გადაწყვეტილებები სემეკს ჯერ არ მიუღია, თუმცა, სავარაუდოა, რომ კომპანია აღნიშნული პუნქტების შესრულებას ქვეყანაში პოლიტიკური კრიზის დაძლევისა და საპარლამენტო არჩევნების დასრულებისთანავე მოითხოვს.

ამრიგად “ენერგო-პრო-ჯორჯია” იყენებს ტარიფს, რომელიც მისი დანახარჯების მიხედვით არ არის გაანგარიშებული და მას ხელშეკრულებით ასევე მინიჭებული აქვს უფლება, მოითხოვოს მთავრობის მხრიდან სემეკის დავალდებულება, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს გადაწყვეტილება ტარიფის ინდექსაციისა და კომპანიის მიერ რეგიონებში ინდივიდუალური გამრცხველიანების ათწლიანი პერიოდის დადგენის შესახებ.

საქართველოს მთავრობის მიერ “ენერგო-პროსთან” დადებული ხელშეკრულების ეს პუნქტები შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც მთავრობის მხრიდან სემეკის ფუნქციებში ჩარევა და არსებული კანონების “ელექტრენერგისა და გაზის შესახებ” და “დამოუკიდებელი მარეგულირებლის შესახებ” ძირითადი არსისა და ცალკეული

²⁷ ხელშეკრულება საქართველოს ხელისუფლებასა და “ენერგო-პრო-ჯორჯიას” შორის ჰიდროელექტროსადგურების და ელექტროგამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის შესახებ, თავი 5, მუხლი (f).

²⁸ ხელშეკრულება საქართველოს ხელისუფლებასა და “ენერგო-პრო-ჯორჯიას” შორის ჰიდროელექტროსადგურების და ელექტროგამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის შესახებ, თავი 7, მუხლი (n).





დებულებების სრული უგულვებელყოფა. ასეთივე შეფასება უნდა მიეცეს მთავრობის მიერ “ინტერ-რაოსთან გაფორმებულ” მემორანდუმსაც.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთ ამ დოკუმენტს სემეკისათვის სავალდებულო იურიდიული ძალა არ გააჩნია, ვინაიდან კანონმდებლობის თანახმად, „კომისიის საქმიანობის საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და გაზის შესახებ, კომისიის დებულება და სხვა საკანონმდებლო აქტები”²⁹. აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, ადვილად შეიძლება მოხერხდეს მათი გადასინჯვა და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, თუმცა ამ საკითხზე საბოლოო დასკვნა უფლებამოსილმა იურისტებმა უნდა დადონ.

გაზის მოწოდების დერეგულირება და გაზის ტარიფი

საქართველოს მთავრობამ 2006 წლის იანვარში მიიღო გადაწყვეტილება გაზის მოწოდების დერეგულირების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო, გაზის ძირითად მომხმარებელ ქართულ-რუსულ და ქართულ-ყაზახურ ბიზნეს ჯგუფებს მისცემოდათ საშუალება, თავად ეწარმოებინათ მოლაპარაკებები თავიანთ პარტნიორებთან რუსეთსა და ყაზახეთში გაზის რაოდენობის, ფასის და მოწოდების სხვა მნიშვნელოვანი პირობების შესახებ. ამით გაზის ბაზრის პოლიტიკური გავლენის სფეროდან გამოყვანას უნდა შეწყობოდა ხელი, თუმცა მოგვიანებით, აზერბაიჯანთან წარმატებით წარმოებული მოლაპარაკებების შემდეგ, გაზის მთავარი შემომტანი „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ გაჩდა. ვინაიდან გაზის შემოტანა დერეგულირებულია, დამოუკიდებელი მარეგულირებელი მხოლოდ მისი შიდა ტრანსპორტირებისა და დისტრიბუციის ტარიფებს არეგულირებს. მოწოდების ფასი კი მხოლოდ მომწოდებელი კომპანიისთვის, ამ შემთხვევაში, „ნავთობისა და გაზის კორპორაციისთვის“ არის ცნობილი.

გაზის ტარიფის დადგენის დროს გაზის შესყიდვის ფასს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამდენად გადაწყვეტილილება, რომელსაც გაზის მოწოდება პოლიტიკური გავლენისგან უნდა გაეთავისუფლებინა, ახალი გაურკვევლობის წყაროდ იქცა. „ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ გაზის შესყიდვის ფასს კომერციულ საიდუმლოდ მიიჩნევს, მომხმარებელს კი (რომელსაც ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი მარეგულირებლის ინსტიტუტი თეორიულადაც ვეღარ იცავს) უჩნდება ეჭვი არსებული ტარიფის მართებულობისა და სამართლიანობის შესახებ.

დასკვნები:

- საქართველოს ხელისუფლება ერევა სემეკის საქმიანობაში, რაც ეწინააღმდეგება კანონის „ელექტროენერჯისა და გაზის შესახებ“ და კანონის „დამოუკიდებელი მარეგულირებლის შესახებ“ დებულებებს.

²⁹ საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და გაზის შესახებ“, მუხლი 4: „სტატუსი და ფუნქციები“, 1997 წ.





- დღეს საქართველოში ელექტროენერგიაზე არსებული ტარიფები არ ასახავს არც „რაო-თელასის“³⁰ მიერ და არც „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ მიერ ენერგეტიკის სექტორში გაწეულ დანახაჯებს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „ელექტროენერგეტიკისა და გაზის შესახებ“ და სემეკის მიერ შემუშავებულ ელექტროენერგისა და გაზის ტარიფების დათვლის მეთოდოლოგიას;
- საქართველოს ხელისუფლების მიერ „ინტერ-რაოსთან“ გაფორმებული მემორანდუმი და „ენერგო-პრო-ჯორჯიასთან“ დადებული ხელშეკრულებები ეწინააღმდეგება საქართველოს კანონებს „ელექტროენერგისა და გაზის შესახებ“ და „დამოუკიდებელი მარეგულირებლის შესახებ“. ამასთან ეს ხელშეკრულებები არ წარმოადგენს სემეკისთვის სავალდებულოდ გასათვალისწინებელ საკანონმდებლო აქტებს. შესაბამისად, ხელისუფლების მიერ ამ ხელშეკრულებებით სემეკის სახელით აღებული ვალდებულებები არამართლზომიერია;
- გაზის მოწოდების დერეგულირება და ის ფაქტი, რომ დღემდე არ არსებობს გაზის მოწოდების გრძელვადიანი გაწერილი ხელშეკრულებები³¹ რუსეთთან და აზერბაიჯანთან, მომხმარებლებში კითხვებს ბადებს გაზის მოწოდების ფასის შესახებ. ეს ფასი გაზის ტარიფის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს;
- ელექტროენერგისა და გაზის ტარიფების მართებულობასთან დაკავშირებით არსებული კითხვებით ცხადი ხდება, რომ სემეკი ვერ ახერხებს მომხმარებელთა უფლებების დაცვას, რაც კანონით მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა;
- საქართველოს ხელისუფლება არ ითვალისწინებს საერთაშორისო (ამ შემთხვევაში, მსოფლიო ბანკის) ექსპერტთა რჩევებს ენერგეტიკის სამინისტროსა და სემეკის ფუნქციათა გამიჯვნისა და პრივატიზაციის პროცესში სემეკის უფლებამოსილების განმტკიცების შესახებ;
- თუ ხელისუფლება სემეკის უფლებამოსილების შეზღუდვას ან მის საერთოდ გაუქმებას გეგმავს, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა მექანიზმებით მოხდება მომხმარებლების ინტერესების დაცვა მონოპოლური ფასებისაგან, რა გავლენას იქონიებს ეს გადაწყვეტილება მათზე და ზოგადად ეკონომიკურ პროცესებზე;
- იმის გათვალისწინებით, რომ ენერგომატარებლებზე სამართლიანი და მართებული ტარიფების არსებობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს როგორც მოსახლეობისათვის, ისე ეკონომიკური აქტივობისთვის, ასეთი ცვლილებების

³⁰ ამ საკითხის ირგვლივ დავას წერტილი დაესმებოდა, თუ არსებული ხელშეკრულებებით (AES-Telasi-Rao Nordic- Inter-Rao) მოხერხდებოდა საზოგადოებაში არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

³¹ გარდა შახ-დენიზის საერთაშორისო კონსორციუმთან დადებული ხელშეკრულებისა, რომელიც 2012 წლამდე არის გაწერილი.





განხილვის პროცესში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ენერგეტიკის და ეკონომიკური პროფილის დამოუკიდებელი ექსპერტები და ინტერესთა ჯგუფები.

ლიანა ჯერვალიძე,
„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში

